ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 19
16/03/2020

19-08-4-202003161215

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N 529 განკარგულების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელს მიმართოს შესაბამის სამკურნალო დაწესებულებას, უზრუნველყოს უშუალო ხელმძღვანელის ინფორმირება და არ გამოცხადდეს სამსახურში თუ:

ა) 2020 წლის 12 მარტამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ან ამ ბრძანების გამოცემის შემდეგ გეგმავს ვიზიტს საქართველოს ფარგლებს გარეთ - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

ბ) 2020 წლის 12 მარტიდან მისი ოჯახის წევრ(ებ)ი იმყოფებოდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ ან გეგმავენ ვიზიტს, რომელთანაც მას კონტაქტი ჰქონდა(თ) /ან ექნება(თ) - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

გ) კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი;

დ) აღენიშნება რესპირატორული დაავადების სიმპტომები და საჭიროებს თვითიზოლაციის რეჟიმში გადასვლას.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლებმა უზრუნველყონ ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების დაცვა.

3. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე:

ა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი თანამშრომლისთვის მათი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, 2020 წლის 16 მარტიდან განისაზღვროს მუშაობის დისტანციური რეჟიმი.

ბ) დაევალოს განყოფილების უფროსებს დისტანციურად მუშაობის განრიგის, სამსახურში გამოცხადების გრაფიკის შედგენა და თანამშრომელთა ინფორმირება.

გ) შეიზღუდოს საჯარო ღონისძიებების ორგანიზება, საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და საკრებულოს სხდომების ჩატარება.

დ) შეიზღუდოს სამსახურეობრივი მივლინებები გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლებს უნარჩუნდებათ შრომის ანაზღაურება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა